ვარდის გაყრილსა

ვარდის გაყრილსა სულმიხდილსა ჭმუნვა-მწარებით,
ძოწთ ვერღა მჭვრეტსა, თვალ ნაშრეტსა ცრემლთა ღვარებით,
მტრფოსა ბულბულსა შემჰსჭვალულსა გულდამყარებით,
აჰა მაისმან, შემწე მყისმან, კეთილ დარებით
აჩვენა თვისი დამდაგისი შორ ქმნის ალებით
ვარდის გაყრილსა სულ მიხდილსა ჭმუნვა მწარებით!
მიჯნური ხელი, დამნახველი ნაზთა კოკობთა,
ზურმუხტის თასთა მდგართა ლალთა ჰსჭვრეტს დამათრობთა,
შეფრფინვით შესტრფის, გარნა ეკრთის წალკოტში მყოფთა,
უბედავს ვერა ნებად მზერა ფერ შენაწყობთა.
ოჰ ბედო, ბედო, როს მიხედო მრთლათ შებრალებით,
ვარდის გაყრილსა სულ მიხდილსა ჭმუნვა მწარებით?!
მოსთქვამს, რაზამთა მნახეს ჟამთა ცრემლისა მკადედ,
მე გლახ შენისა სიშორისა მწარ მოვაგლახედ!
იგი არ კმარა, რაც მომხდარა აწ ჩემდა საზრკმედ.
ვინცა გგუშაკობს, ცუდ მუშაკობს მცდარი ყოვლ სახედ,
სწყმდეს ეჭვი ფრთხილი, მითც სურვილი ჰსძლევს ცდა მრავლებით
ვარდის გაყრილსა სულ მიხდილსა ჭმუნვა მწარებით.
მარა ჰე გული, განლეული სურვილის ალით!
მარად თვისისა სიკვდილისა მხედველი თვალით,
ვერ კმად ნუგეშობს, იმედს ეჭობს ხვალით და ხვალით:
მისწრაფე ზრუნვა, გაქვს თუ სურვა, ტრფობისა ვალით,
სულგრძობით, თვარე განმხდი გარე სოფლის კარებით
ვარდის გაყრილსა სულ მიხდილსა ჭმუნვა მწარებით.
ოჰ, ჟამო ძნელო, დამხლათველო ტრფიალთა გზისა.
უწყალოვ ხელო, მტრულად მშლელო მათისა ცდისა,
ხან სასოს ცემით, ხან წართმევით სრულ  იმედისა,
მტანჯველო  გულთა შეწირულთა ურთიერთისა,
ჰყრობელს როდემდე ჯერ-არს ჰსჭვრეტდე გულ განსალებით
ვარდის გაყრილსა სულ მიხდილსა ჭმუნვა მწარებით.